დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253581**

თარიღი:**24/12/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი", დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი", დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) „დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი", დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) „დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი", დანართი N4-ის შესაბამისად.

2. 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამებისათვის გათვალისწინებული ერთიანი თანხის ფარგლებში თანხის ქვეპროგრამებს შორის გადანაწილება განხორციელდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი სამსახურიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

3. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პროფესიული სტუდენტების სწავლის დაფინანსების, ასევე, ერთჯერადი წახალისების და დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების გაცემის პირობებს.

2. ქვეპროგრამის მიზანია:

ა) პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

ბ) პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა;

გ) პროფესიული სტუდენტების, დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება;

დ) სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული, პროფესიული სტუდენტების წახალისებას სწავლის დაფინანსების გზით.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

4. დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა" (040202) ფარგლებში.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტების სწავლის დაფინანსებისა და ერთჯერადი წახალისების კრიტერიუმები, პირობები და გაცემის წესი

1. პროფესიული სწავლების დაფინანსება შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) რეგისტრირებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

გ) პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში არსებულ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კავკასიაში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/სასწავლებლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსების გაცემა

ა) პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს, რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, სასწავლო წლის გადასახადი დაუფინანსდება სწავლის წლიური ღირებულების 50 % - ის ოდენობით (2000 ლარი);

ბ) პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს, რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, სასწავლო წლის გადასახადი დაუფინანსდება გადახდის წესის შესაბამისად, სემესტრულად.

გ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ სასწავლებლის შესაბამის ანგარიშზე დარიცხვით.

დ) დაფინანსება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

3. პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისების გაცემა

ა) პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს (შვეიცარიულ-აგრარული სასწავლებლის სტუდენტების გარდა), რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით;

ბ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პირად ანგარიშზე დარიცხვით.

გ) დაფინანსება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დასკვნის (მოხსენებით ბარათის) საფუძველზე.

მუხლი 3. პროფესიული სწავლების დაფინანსებისა და ერთჯერადი წახალისების მისაღებად სტუდენტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სწავლის დაფინანსების მისაღებად ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში სტუდენტებმა მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ცნობა (დედანი) აკრედიტირებული პროფესიული სასწავლებლიდან (შვეიცარიულ-აგრარული სკოლა „კავკასია“ და სხვა) აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ, სასწავლო კურსისა და სემესტრის მითითებით;

ე) სწავლის დაფინანსების შემთხვევაში - პროფესიული სასწავლებლის ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები, ხოლო ერთჯერადი წახალისების შემთხვევაში - პირადი ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები.

დანართი N2

დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისთვისა და მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემის პირობებს.

2. წესის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული, წარჩინებული სტუდენტების და წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

4. დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება“ (05 05 01) ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტუდენტი - უმაღლესი სასწავლებლის/ უნივერსიტეტის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც განცხადების შემოტანის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) წარჩინებული სტუდენტი - უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით (A ფრიადი - შეფასების ქულა 91-100), რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით. ასევე, სოციალურად დაუცველი (ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო სოციალური ქულა) სტუდენტი, რომელიც სწავლობს სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((a) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

გ) სპორტსმენი – პირი, რომელიც მისდევს პროფესიულ სპორტს, გამოდის შეჯიბრებებში და/ან ეწევა პროფესიულ მოღვაწეობას ძალისმიერ სპორტში;

მუხლი 3. წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური ფულადი წახალისების კრიტერიუმები, პირობები და გაცემის წესი

1. ყოველთვიური ფულადი წახალისება შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ)განცხადების შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

გ) არის აკრედიტებული უმაღლესის სასწავლებლის ბაკალავრის ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი (ყოველთვიური ფულადი წახალისება არ გაიცემა დამამთავრებელი კურსის ბოლო სემესტრული შეფასების შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აგრძელებს სწავლას სამაგისტროს საფეხურზე. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის "ზ" და „თ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევისა).სტუდენტი;

დ) გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით (მათ შორის სოციალურად დაუცველის სტატუტის მქონე სტუდენტი), რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A ფრიადი - შეფასების ქულა 91-100),

ე) რომლის მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A) ფრიადი (შეფასების 91-100 ქულა);

ვ) არის სოციალურად დაუცველი სტუდენტი (ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო სოციალური ქულა), რომელიც სწავლობს სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ზ) „1+4" პროგრამით მოსარგებლე, კერძოდ ე.წ ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო კურსის სტუდენტი/მსმენელი, სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

თ) „1+4" პროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი სტატუსის (მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულა) სტუდენტი/მსმენელი, სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

2. წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური ფულადი წახალისება განხორციელდება შემდეგნაირად:

ა) წარჩინებული სტუდენტები, მათ შორის სოციალურად დაუცველის სტატუტის მქონე სტუდენტი, ასევე, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A) ფრიადი (შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 250 (ორასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

ბ) წარჩინებული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, რომლის მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A) ფრიადი (შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 250 (ორასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

გ) სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი (მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

დ) 1+4 პროგრამით მოსარგებლე სტუდენტი, რომელთა პირველ მოსამზადებელ კურსზე მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A) ფრიადი (შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

ე) „1+4" პროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე (მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულა) სტუდენტი/მსმენელი, რომელიც სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

ვ) წარჩინებულ სტუდენტს ყოველთვიური ფულადი წახალისება მიეცემა წინა სემესტრული შეფასების გათვალისწინებით.

ზ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წარჩინებული სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე.

თ) ფულადი წახალისება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დასკვნის (მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე.

მუხლი 4. ყოველთვიური წახალისების მისაღებად წარჩინებულ სტუდენტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყოველთვიური წახალისების მისაღებად ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში (1 მარტიდან 15 მარტამდე და 1 აგვისტოდან - 15 აგვისტომდე) სტუდენტებმა მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი (საინფორმაციო ბარათი);

დ) სოციალურად დაუცველი სტუდენტების შემთხვევაში ცნობა ან ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის თაობაზე;

ე) ცნობა (დედანი) აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ, სასწავლო კურსისა და სემესტრის მითითებით;

ვ) სახელმწიფო აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან წინა სემესტრული შეფასების შესახებ ამონაწერი/ე. წ სტუდენტის ბარათი, რითაც სტუდენტის მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი- შეფასების 81-90ქულა);

ვ) პირადი ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 5. სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი წახალისება

1. ყოველთვიური ფულადი წახალისება გაეწევათ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ან ფაქტობრივად მცხოვრებ (კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს დმანისის მუნიციპალიტეტში), სპორტსმენებს, რომლებიც მიმდინარე წელს გახდებიან: ინდივიდუალური სპორტის სხვადასხვა სახეობაში (დიდებში და ახალგაზრდებში) საქართველოს, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონები/პრიზიორები– 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი წახალისება, განცხადების წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში, გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სპორტსმენთა პირად საბანკო ანგარიშზე, ან არასრულწოვანების შემთხვევაში მშობლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 6. ყოველთვიური ფულადი წახალისების მისაღებად წარმატებული სპორტსმენის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფულადი წახალისების მისაღებად სპორტსმენმა/მწვრთნელმა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი (საინფორმაციო ბარათი), გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა; ფაქტობრივად მაცხოვრებელის შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა.

დ) სპორტსმენის მიერ საპრიზო ადგილის დაკავების ან გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) არასრულწლოვნების შემთხვევაში პირადი ან მშობლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარნმოდგენისგან თავისუფლდება შშმ პირი, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელ ცნობას, ფაქტობრივად ცხოვრობს დმანისის მუნიციპალიტეტში ან ასპარეზობს დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით.

მუხლი 7. სპორტსმენების ერთჯერადი მატერიალური დახმარების (ფულადი ჯილდო) მიღების კრიტერიუმები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1000 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 800 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 500 ლარი.

2. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს, ევროპის ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1500 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1200 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1000 ლარი.

3. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე წელს ან გასული წლის დეკემბრის თვეში, მონაწილეობას მიიღებს, მსოფლიო ჩემპიონატში (დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) და დაიკავებს საპრიზო ადგილს:

ა) I ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 2000 ლარი;

ბ) II ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1800 ლარი;

გ) III ადგილისთვის სპორტსმენზე გაიცეს 1500 ლარი.

1. ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის მწვრთნელი, რომლის მიერ მომზადებული სპორტსმენი გახდება საქართველოს/ევროპის/მსოფლიოს ჩემპიონი ან დაიკავებს საპრიზო ადგილს, ერთჯერადად მიიღებს ფულად ჯილდოს, მიუხედავად პრიზიორ სპორტსმენთა რაოდენობისა:

ა) საქართველოს ჩემპიონი - 700 ლარი, II ადგილი - 500 ლარი, III ადგილი - 300 ლარი;

ბ) ევროპის ჩემპიონი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი;

გ) მსოფლიო ჩემპიონი - 1400 ლარი, II ადგილი - 1200 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი;

დ) სხვადასხვა საპრისო ადგილის დაკავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება საუკეთესო შედეგს.

მუხლი 8. სპორტსმენების ერთჯერადი მატერიალური დახმარების (ფულადი ჯილდო) გაცემის წესი

1. ფულადი ჯილდო გაიცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად, ამ წესის მუხლი 7 -ში მოცემული ადგილების დაკავების შემთხვევაში, ამავე მუხლში მითითებული ოდენობების შესაბამისად.

2. ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით, დაინტერესებულმა პირ(ებ)მა განცხადებით უნდა მიმართოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს და წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შესაბამისი ტიტულის მოპოვების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (მწვრთნელის მითითებით) ან/და ცნობა ტიტულის მოპოვების შესახებ (მწვრთნელის მითითებით), შესაბამისი ფედერაციიდან;

ბ) სრულწლოვანი სპორტსმენის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი სპორტსმენის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი;

გ) სრულწლოვანი სპორტსმენის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, ხოლო არასრულწლოვანი სპორტსმენის შემთხვევაში – ერთ-ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

დ) არასრულწლოვანი სპორტსმენის შემთხვევაში – ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი ან კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) მწვრთნელის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

ვ) სპორტსმენის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტები;

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და მოხსენებითი ბარათით წარუდგენს მერს წინადადებას სპორტსმენსა და მწვრთნელზე ფულადი ჯილდოს გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ;

4. ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას);

5. ფულადი ჯილდო გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წარმოდგენილ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 9. ფულადი ჯილდოს გაცემა გუნდურ და ეკიპაჟურ სახეობებში საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში

1. გუნდი განიმარტება, როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ უშუალოდ დაფუძნებული ან დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციაში მოქმედი სპორტული წრის გუნდი, ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდი (ინტელექტუალური თუ სპორტული გუნდი).

2. ჯილდო გაიცემა გუნდზე, რომელიც შესაბამის ლიგაში/ საქართველოს ჩემპიონატში დაიკავებს საპრიზო ადგილს.

3. გუნდის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცი (-ებ)ის მიერ გაცემული ცნობა მწვრთნელისა და სპორტული წრის არსებობის შესახებ;

4. გუნდის ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: მწვრთნელი – 500 ლარი, განაცხადში მითითებული გუნდის თითოეული წევრი – 300 ლარი.

დანართი N3

დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სპორტის სფეროს განვითარება" (0501) ფარგლებში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.

2. ქვეპროგრამის მიზანია:

ა) ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაცია;

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

4. დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებები" (050102) ფარგლებში.

მუხლი 2. წესით მოსარგებლენი

1. აღნიშნული წესით ისარგებლებენ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 6-12 წლის ასაკის სპორტსმენები, რომლებიც ჩაირიცხებიან მუნიციპალიტეტში მოქმედ შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლაში" (შემდგომში - დინამოს აკადემია).

2. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება - 40 (ორმოცი) ერთეულით.

3. განაცხადების გადარჩევისას, უპირატესობით ისარგებლებენ შემდეგი პირები:

ა) იძულებით გადაადგილებული პირები;

ბ) არასრულწლოვანი ობლები;

გ) მრავალშვილიანი ოჯახები;

დ) ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები (ქულა 100 000-მდე);

ე) განსაკუთრებული მონაცემების მქონე სპორტსმენები, რომელთა სპორტული ნიჭი დადასტურდება დინამოს წარმომადგენლისა და მწვრთნელთა შესაბამისი დასკვნით.

მუხლი 3. დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დაფინანსების მიღების მიზნით, ა(ა) იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის ადმინისტრაციამ ყოველთვიურად უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ)დინამოს აკადემიაში ჩარიცხულთა, პროგრამით მოსარგებლეთა ყოველთვიური აღრიცხვის ფურცელი.

2. ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უპირატესობის მინიჭების პროცესი, შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე, აწარმოოს ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის ადმინისტრაციამ.

მუხლი 4. დაფინანსების გაცემა

1. ნორჩ ფეხბურთელს, რომლის დინამოს აკადემიაში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ყოველთვიური გადასახადი დაუფინანსდება თვიური (11 თვე) ღირებულების 100 % - ის ოდენობით;

2. ჩარიცხვის მოთხოვნის თაობაზე განაცხადის ამ წესთან და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის ადმინისტრაცია, რომლის საფუძველზე შემდგომში ყოველთვიურად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, წარმოადგენს წერილს და პროგრამით მოსარგებლეთა აღრიცხვის ფურცელს.

3. დაფინანსება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური, მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ქვეპროგრამისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს დაფინანსებას.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დინამოს აკადემიის შესაბამის ანგარიშზე დარიცხვით.

დანართი N4

დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის ხელშეწყობა“ (0505) ქვეპროგრამის „წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (050502) განხორციელების პირობებს, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.

2. ქვეპროგრამის მიზანია:

ა) ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

4. დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (050502) ფარგლებში.

მუხლი 2. წესით მოსარგებლენი

1. აღნიშნული წესით ისარგებლებენ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:

ა) საჯარო სკოლის მედალოსნები, ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას დაასრულებენ წარმატებით, ვერცხლის ან ოქროს მედალზე;

ბ) რომლებსაც, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის მიზნით, ესაჭიროებათ წინა საასპარეზო სპორტული მომზადებისათვის ფინანსური მხარდაჭერა ან სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება;

გ) რომლებმაც, წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტში და ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა;

დ) რომლებიც მონაწილეობას იღებენ ისეთ პროექტებში/ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს, დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს დმანისში მცხოვრები ახალგაზრდობისთვის და მხოლოდ ამ პირობით შესაძლოა

მოიცავდეს ღონისძიებების დაფინანსებას, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული, ასევე ქვეყნის საზღვრების გარეთ.

ე) რომლებიც, უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის მიზნით, მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და ესაჭიროებათ სამოგზაურო ხარჯის დაფინანსება;

ვ) პირები (ხელოვანები, მწერლები, პოეტები, ხალხური სიტყვის მთქმელები და ა.შ), რომელთა მოღვაწეობა ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით. რომელთა მიერ წარმოდგენილი პროექტები/ნამუშევრები ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულებისაა და ემსახურება ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებისა და ახალგაზრდობის ზრდა-განვითარებას.

ზ) ახალგაზრდები, რომლებიც მონაწილეობენ ახალგაზრდული სივრცე-მედიათეკის განვითარებაში, ახორციელებენ სამეწარმეო ან ინოვაციურ საქმიანობას, ქმნიან ახალ პროდუქტს, სერვისს ან იდეას, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, დასაქმების ან სოციალური ინოვაციის განვითარებას. აღნიშნული ახალგაზრდებისთვის დასაშვებია მხარდაჭერა ბიზნესიდეის განხორციელების, ინოვაციური პროექტების პრეზენტაციის ან პროფესიული განვითარების მიზნით ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

მუხლი 3. დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დაფინანსების მიღების მიზნით, წესით მოსარგებლემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) მოწვევა ან რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი ტურნირიდან/შეჯიბრებიდან/ პროექტის ხელმძღვანელებიდან;

ე) სამგზავრო ხარჯების ანაზღაურების დაფინანსების შემთხვევაში აუცილებელია წარმოდგენილ იქნას სამგზავრო ბილეთის რეკვიზიტები;

ვ) მოსარგებლე პირის საბანკო რეკვიზიტები;

ზ) შემოქმედებითი პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტი (კრებული, ჩანახატები და ა.შ)

თ) მედალოსნობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წერილი სსიპ ქ. დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან;

ი) სხვა დამატებითი დოკუმენტები, რის წარდგენასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

მუხლი 4. დაფინანსების გაცემა

1. წარმოდგენილ განაცხადს, ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისობას ამოწმებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს.

2. დაფინანსება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დასკვნის საფუძველზე. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ქვეპროგრამისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს დაფინანსებას.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ შესაბამის პირად საბანკო ანგარიშზე დარიცხვით.